06/09/2024

# “შესავალი მართლმადიდებლურ ღვთისმეტყველებაში”




საქართველოს საპატრიარქოს ბელგიისა და ჰოლანდიის ეპარქია იწყებს 5-თვიან ონლაინ ინტენსიურ კურსს “შესავალი მართლმადიდებლურ ღვთისმეტყველებაში”.
კურსის მიზანია, რომ ხელი შეუწყოს ღვთისმეტყველებით დაინტერესებული პირებს ცოდნის ამაღლებაში და ის განკუთვნილია განურჩევლად ყველასთვის, შესაბამისად,

ლექციები წარიმართება გასაგებ ენაზე.
იმისათვის, რომ თითოეულმა პირმა შეძლოს მართლმადიდებლური თეოლოგიის ძირითადი პრინციპების გაგება, ამისათვის პროგრამა შედგენილია სათანადო დარგებითა და თემებით.
კურსზე რეგისტრაცია დღეიდან (1 სექტემბრიდან) 25 ოქტომბრის ჩათვლით გაგრძელდება. ამისათვის კი საჭიროა სარეგისტრაციო ფორმის შევსება (https://forms.gle/dvbqjE5SiavxDFa66)
პროგრამის ღირებულება შეადგენს 25 ლარს, რომელიც საჭიროა ამ პროგრამის მხარდასაჭერად, ხოლო სტუდენტებისათვის და 18 წლამდე პირთათვის ის უფასოა.
კურსი დაიწყება 3 ნოემბერს და დასრულდება 30 მარტს.
პროგრამის სრული მიმოხილვა იხილეთ ამ ლინკზე: https://drive.google.com/…/1DeqktQTs9rSrj2gIQfQ…/view…
სხვა დანარჩენი კითხვისათვის გთხოვთ დაგვიკავშირდეთ: [email protected]
გისურვებთ წარმატებებს!

ბელგიისა და ჰოლანდიის ეპარქია – Diocèse de Belgique et de Pays-Bas